

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 5 აპრილის  
დირექტივა 2011/36/EU

ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციის, მის წინააღმდეგ  
ბრძოლისა და მის მსხვერპლთა დაცვის შესახებ,  
რომელიც ანაცვლებს საბჭოს ჩარჩო გადაწყვეტილებას 2002/629/JHA

ევროპის პარლამენტი და ევროკავშირის საბჭო,

ითვალისწინებენ რა ხელშეკრულებას ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ და,  
კერძოდ, მის 82(2) და 83(1) მუხლებს,

ითვალისწინებენ რა ევროკომისიის წინადადებას,

ითვალისწინებენ რა ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის მოსაზრებას <sup>(1)</sup>,

გაიარეს რა კონსულტაცია რეგიონების კომიტეტთან, მოქმედებენ რა დადგენილი  
საკანონმდებლო პროცედურის შესაბამისად <sup>(2)</sup>,

და ვინაიდან:

- (1) ადამიანებით ვაჭრობა მძიმე დანაშაულია, ხშირად ჩადენილი ორგანიზებული დანაშაულის ფორმით, რომელიც წარმოადგენს ფუნდამენტურ უფლებათა უხეშ დარღვევას და აშკარად არღვევს ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიას. ადამიანებით ვაჭრობის პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა პრიორიტეტია ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოებისათვის.
- (2) დირექტივა არის ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართული გლობალური მოქმედების ნაწილი, რომელიც მოიცავს ამ მიმართულებით მუშაობას მესამე ქვეყნებში, როგორც ეს აღნიშნულია საბჭოს მიერ 2009 წლის 30 ნოემბერს დამტკიცებულ შემდეგ დოკუმენტში: „მოქმედებებზე ორიენტირებული დოკუმენტი ევროკავშირის გარე განზომილების გაძლიერების შესახებ ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლაში; ევროკავშირის გლობალურ მოქმედებათა გზაზე ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ“. ამ კონტექსტში, საჭიროა მოქმედებათა გაძლიერება მსხვერპლთა წარმოშობის ან მათი გადაყვანის ქვეყნებში, რომლებიც მესამე ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნებიან, რამდენიმე მიმართულებით: ცნობიერების ამაღლება, მოწყვლადობის ხარისხის შემცირება, მსხვერპლთა მხარდაჭერა და დახმარება, ადამიანებით ვაჭრობის გამომწვევ ძირეულ მიზეზებთან ბრძოლა და ამ ქვეყნების დახმარება ადამიანებით ვაჭრობასთან დაკავშირებული შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავებაში.
- (3) წინამდებარე დირექტივა ითვალისწინებს ადამიანებით ვაჭრობის გენდერულ ასპექტს და იმ ფაქტს, რომ ქალები და მამაკაცები ტრეფიკინგის მსხვერპლნი სხვადასხვა მიზნით ხდებიან. ამ მიზეზით, სადაც საჭიროა, დახმარებისა და მხარდაჭერის ზომებიც გენდერულ თავისებურებებს

უნდა ითვალისწინებდეს. ასევე, შესაბამისი სექტორიდან გამომდინარე, შეიძლება განსხვავდებოდეს „მამოძრავებელი“ და „შემაკავებელი“ ფაქტორები, იმის მიხედვით, თუ რას ეხება საქმე - ადამიანებით ვაჭრობას სექსის ინდუსტრიაში თუ შრომითი ექსპლუატაციის მიზნით, მაგალითად, მშენებლობებზე, სოფლის მეურნეობაში ან სახლში მოსამსახურედ.

(4) ევროკავშირი იბრძვის ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ და მისი პრევენციისათვის, ასევე, ტრეფიკინგის მსხვერპლთა უფლებების დასაცავად. ამ მიზნით მიღებულია საბჭოს 2002 წლის 19 ივლისის ჩარჩო გადაწყვეტილება 2002/629/JHA ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ <sup>(3)</sup>, და ევროკავშირის გეგმა ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის საუკეთესო პრაქტიკის, სტანდარტებისა და პროცედურების შესახებ <sup>(4)</sup>. გარდა ამისა, ევროპული საბჭოს მიერ მიღებული სტოკჰოლმის პროგრამა - ღია და უსაფრთხო ევროპა მოქალაქეთა სამსახურში და მათ დასაცავად <sup>(5)</sup> - მკაფიო პრიორიტეტს ანიჭებს ადამიანებით ვაჭრობასთან ბრძოლას. ამასთან, გასათვალისწინებელია სხვა საშუალებებიც, როგორცაა, მაგალითად, ევროკავშირის ზოგადი საერთო ინდიკატორების შემუშავების მხარდაჭერა ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიკაციისათვის, რაც მიიღწევა საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების გაზიარებით ყველა შესაბამის აქტორს შორის, განსაკუთრებით, კერძო თუ საჯარო სოციალურ სამსახურებს შორის.

(5) თანამშრომლობა უნდა განაგრძონ წევრი სახელმწიფოების სამართალდამცავმა ორგანოებმა ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ თვალსაზრისით, არსებითი მნიშვნელობა აქვს მჭიდრო საზღვართაშორის თანამშრომლობას, ინფორმაციისა და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების გაზიარების ჩათვლით, აგრეთვე, უწყვეტ ღია დიალოგს წევრი სახელმწიფოების პოლიციას, სასამართლო და ფინანსურ ხელისუფლებებს შორის. ადამიანებით ვაჭრობის შემთხვევათა გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის საქმეების კოორდინირებას ხელს უნდა უწყობდეს Europol-სა და Eurojust-თან გაუმჯობესებული თანამშრომლობა, ერთობლივი საგამოძიებო გუნდების შექმნა, ასევე, საბჭოს 2009 წლის 30 ნოემბრის ჩარჩო გადაწყვეტილების განხორციელება, რომელიც შეეხება სისხლის სამართალწარმოების კანონმდებლობაში კონფლიქტების პრევენციასა და გადაჭრას <sup>(6)</sup>.

(6) წევრმა სახელმწიფოებმა უნდა წაახალისონ სამოქალაქო საზოგადოების მუშაობა და მჭიდროდ ითანამშრომლონ მათთან, მათ შორის, აღიარებულ და აქტიურ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ამ სფეროში, რომლებიც ტრეფიკინგის მსხვერპლებთან მუშაობენ. ეს განსაკუთრებით გამოსადეგი იქნება პოლიტიკის შემუშავებასთან დაკავშირებული ინიციატივებისთვის, საინფორმაციო და ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიებისათვის, კვლევასა და საგანმანათლებლო პროგრამებში, სწავლების პროცესში, ასევე, ტრეფიკინგის საწინააღმდეგო ზომების ზემოქმედების მონიტორინგისა და შეფასებისას.

(7) წინამდებარე დირექტივა იყენებს ერთიან, ყოვლისმომცველ და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართ. მისი შესრულებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის დირექტივა 2004/81/EC მესამე ქვეყნების მოქალაქეებისათვის ბინადრობის ნებართვის მინიჭების შესახებ, რომლებიც გახდნენ ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლნი ან უკანონო იმიგრაციის ხელშემწყობ მოქმედებათა სუბიექტი და რომლებიც თანამშრომლობენ შესაბამის

უფლებამოსილ ორგანოებთან (7), ასევე, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის დირექტივა 2009/52/EC, რომელიც ითვალისწინებს მესამე ქვეყნის არალეგალურად მცხოვრები და დასაქმებული მოქალაქეების მიმართ სანქციებისა და ზომების მინიმალურ სტანდარტს (8). წინამდებარე დირექტივის უმთავრესი ამოცანაა მსხვერპლთა უფლებების უფრო საგულდაგულო პრევენცია, დაცვა და მკაცრი სამართლებრივი დევნა. დირექტივა ასევე გვთავაზობს ტრეფიკინგის სხვადასხვა ფორმის კონტექსტუალურ გაგებას და მიზნად ისახავს თითოეულ ფორმასთან შესაბამისი ეფექტიანი ზომებით დაპირისპირებას.

- (8) ბავშვები უფროსებზე მეტად მოწყვლადები არიან და, შესაბამისად, მეტია რისკი, გახდნენ ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლნი. წინამდებარე დირექტივის გამოყენებისას, უპირატესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიისა და გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის (1989) შესაბამისად.
- (9) გაეროს 2000 წლის ოქმი ადამიანებით ვაჭრობის, განსაკუთრებით, ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობის პრევენციის, აღკვეთისა და დასჯისათვის, აგრეთვე, გაეროს კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის შესახებ და ევროპის საბჭოს 2005 წლის კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ღონისძიებათა შესახებ - ეს სამი ინსტრუმენტი არის არსებითი წინ გადადგმული ნაბიჯი ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ საერთაშორისო თანამშრომლობის გაუმჯობესების პროცესში. უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის საბჭოს კონვენცია შეიცავს შეფასების მექანიზმს, რომელიც შეადგინა ექსპერტთა ჯგუფმა ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში (GRETA) და მხარეთა კომიტეტმა. მნიშვნელოვანია კომპეტენტურ საერთაშორისო ორგანიზაციათა შორის კოორდინირებული მუშაობა ადამიანებით ვაჭრობასთან ბრძოლაში, რომ მეორეჯერ არ გაკეთდეს იგივე, რაც ერთხელ უკვე გაკეთდა.
- (10) წინამდებარე დირექტივა იზიარებს იძულებითი დაბრუნების აკრძალვის პრინციპს, ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის (ჟენევის კონვენციის) შესაბამისად და ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის მე-4 და მე-19(2) მუხლების თანახმად.
- (11) ადამიანებით ვაჭრობის თანამედროვე ტენდენციებთან დასაპირისპირებლად, წინამდებარე დირექტივას შემოაქვს უფრო ფართო კონცეფცია, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს ადამიანებით ვაჭრობად, ვიდრე ამას გვთავაზობს ჩარჩო გადაწყვეტილება 2002/629/JHA და, აქედან გამომდინარე, შეიცავს ექსპლუატაციის დამატებით ფორმებს. ამ დირექტივის კონტექსტში, იძულებითი მათხოვრობა გაგებულია, როგორც იძულებითი შრომა ან სამსახური, როგორც ეს განმარტებულია ILO-ს 1930 წლის No29 კონვენციაში იძულებითი ან სავალდებულო შრომის შესახებ. მასასადამე, ექსპლუატაცია მათხოვრობისთვის, მათ შორის, ტრეფიკინგის მსხვერპლის გამოყენება სამათხოვროდ, მხოლოდ მაშინ მოექცევა ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) განმარტების ფარგლებში, როცა თავს იჩენს იძულებითი შრომის ან სამსახურის ყველა ელემენტი. შესაბამისი პრეცედენტული სამართლის შუქზე, ამგვარი შრომის ან მომსახურების მიწოდებაზე ნებისმიერი შესაძლო თანხმობის ვალიდურობა უნდა შეფასდეს თითოეულ შემთხვევაში ცალ-ცალკე. თუმცა, როცა საქმე ეხება ბავშვს, ვერანაირი თანხმობა ვერასოდეს ჩაითვლება ვალიდურად. ფრაზა „ექსპლუატაცია სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენისათვის“ ნიშნავს პირის ექსპლუატაციას, რომ მან ხელი მიჰყოს, სხვა

დანაშაულებთან ერთად, ჯიბის ქურდობას, მაღაზიის დახლებიდან მოპარვას, ნარკოტიკებით ვაჭრობას და სხვა მსგავს საქმიანობას, რაც ისჯება და, ამავდროულად, ფინანსური მოგება მოაქვს. განმარტება ასევე მოიცავს ადამიანებით ვაჭრობას ორგანოების უკანონო ამოღების მიზნით, რაც ადამიანური ღირსებისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის სერიოზული დარღვევაა. ეს განმარტება ასევე მოიცავს სხვა ქცევას, როგორცაა, მაგალითად, უკანონო შვილად აყვანა ან იძულებითი ქორწინება, რამდენადაც ეს დანაშაულები მოიცავს ადამიანებით ვაჭრობის შემადგენელ ელემენტებს.

(12) სასჯელის სიმკაცრის კუთხით წინამდებარე დირექტივა ასახავს მზარდ შემფოთებას წევრ სახელმწიფოებში ადამიანებით ვაჭრობის ფენომენის განვითარებასთან დაკავშირებით. ამ მიზეზით, ეს დირექტივა საბაზოდ იყენებს სასჯელის მე-3 და მე-4 დონეს საბჭოს 2002 წლის 25 აპრილის დასკვნიდან, სასჯელის ზომის დაახლოებისას გამოსაყენებელი მიდგომების შესახებ. როცა დანაშაული ჩადენილია გარკვეულ გარემოებებში, მაგალითად, განსაკუთრებით მოწყვლადი მსხვერპლის მიმართ, სასჯელი უფრო მკაცრი უნდა იყოს. ამ დირექტივის კონტექსტში, განსაკუთრებით მოწყვლად პირებად ითვლებიან, როგორც მინიმუმ, ბავშვები. მსხვერპლის მოწყვლადობის შეფასებისას გამოსაყენებელ ფაქტორთა შორისაა, მაგალითად, სქესი, ორსულობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა და შეზღუდული შესაძლებლობები. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების შემთხვევაში, როცა, მაგალითად, საფრთხე ექმნება მსხვერპლის სიცოცხლეს, ან დანაშაული მოიცავს მძიმე ძალადობას, როგორცაა წამება, წამლების/ნარკოტიკების იძულებითი მიღება, გაუპატიურება ან სხვა მძიმე ფსიქოლოგიური, ფიზიკური თუ სექსუალური ძალადობა, ან კიდევ სხვაგვარად სერიოზულად ზიანდება მსხვერპლი, სასჯელი ასეთ შემთხვევებშიც უფრო მკაცრი უნდა იყოს. როცა დირექტივაში ნახსენებია გადაცემა სახელმწიფოებს შორის, ის უნდა განიმარტოს საბჭოს 2002 წლის 13 ივნისის ჩარჩო გადაწყვეტილების 2002/584/JHA შესაბამისად, ევროპაში დაპატიმრების ორდერისა და წევრ სახელმწიფოებს შორის გადაცემის პროცედურების შესახებ <sup>(9)</sup>. ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე გასათვალისწინებელია განაჩენის აღსრულების კონტექსტში.

(13) ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლაში სრულად უნდა იქნას გამოყენებული ყველა არსებული ინსტრუმენტი დანაშაულით მიღებული შემოსავლების ამოღებისა და კონფისკაციისათვის. ეს ინსტრუმენტებია: გაეროს კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ და შესაბამისი ოქმები; ევროპის საბჭოს 1990 წლის კონვენცია დანაშაულით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ; საბჭოს 2001 წლის 26 ივნისის ჩარჩო გადაწყვეტილება 2001/500/JHA დანაშაულის ჩადენის საშუალებებისა და დანაშაულით მიღებული შემოსავლების გათეთრებაზე, იდენტიფიცირებაზე, მოკვლევაზე, გამოყენების აკრძალვაზე, ამოღებასა და კონფისკაციაზე <sup>(11)</sup>. სასურველია, რომ წინამდებარე დირექტივაში მოხსენიებული დანაშაულის ჩადენის საშუალებები და დანაშაულით მიღებული შემოსავალი ამოღებისა და კონფისკაციის შემდეგ მოხმარდეს მსხვერპლთა დახმარებისა და დაცვის მხარდაჭერას, მათ შორის, მსხვერპლთათვის კომპენსაციის მიცემას და ევროკავშირში ტრანსსასაზღვრო ტრეფიკინგის საწინააღმდეგო სამართალდამცავ აქტივობებს - საჭიროა ამ პროცესის სტიმულირება.

(14) ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლი დაცული უნდა იყოს შესაბამისი წევრი სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის ძირითადი პრინციპებით სამართლებრივი დევნისა თუ



სასჯელისაგან იმ სისხლისსამართლებრივი მოქმედებებისათვის, რომელთა იძულებითი ჩადენაც პირდაპირ განაპირობა ტრეფიკინგმა. ასეთი დანაშაული შეიძლება იყოს ყალბი დოკუმენტების გამოყენება, პროსტიტუცია ან უკანონო იმიგრაცია. ამგვარი დაცვის მიზანია მსხვერპლის უფლებების დაცვა, მისი შემდგომი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება და მხარდაჭერა, რომ მათ მონაწილეობა მიიღონ მოძალადეთა სისხლის სამართალწარმოებაში მოწმის სახით. დაცვის ეს მექანიზმი არ უნდა გამორიცხავდეს პირის სამართლებრივ დევნასა თუ დასჯას იმ დანაშაულებისათვის, რომლებიც ნებაყოფლობით ჩაიდინა ან რომლებშიც მონაწილეობდა.

- (15) ადამიანებით ვაჭრობის შემთხვევათა წარმატებული გამოძიებისა და სამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად, მათი დაწყება, პრინციპში, არ უნდა იყოს დამოკიდებული მსხვერპლის მიერ ფაქტის გაცხადებასა ან ბრალდებაზე. როცა ამას საქმის ბუნება მოითხოვს, სამართლებრივი დევნა დაშვებული უნდა იყოს საკმარისი დროის პერიოდის მანძილზე მას შემდეგ, რაც მსხვერპლი სრულწლოვანებას მიაღწევს. საკმარისი დროის პერიოდის ხანგრძლივობა უნდა განისაზღვროს შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით. სამართალდამცავები და პროკურორები სათანადოდ უნდა იყვნენ გადამზადებულნი, კერძოდ, იმისათვის, რომ შეძლონ საერთაშორისო სამართლის განხორციელების გაუმჯობესება და სამართლებრივი თანამშრომლობა. გამოძიებასა და სამართლებრივ დევნაზე პასუხისმგებელ პირებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ საგამომიებო საშუალებებზე, რომლებიც გამოიყენება ორგანიზებული დანაშაულებისა თუ სხვა მძიმე სისხლისსამართლებრივი დანაშაულების გამოძიებისას. ასეთ საშუალებებს შორისაა კომუნიკაციის არხების მოსმენა, ფარული თვალთვალი, მათ შორის, ელექტრონული თვალთვალი, საბანკო ანგარიშების კონტროლი და სხვა ფინანსური გამოძიებები.
- (16) საერთაშორისო კრიმინალური დაჯგუფებების ეფექტიანი გამოძიების უზრუნველსაყოფად, როცა საქმიანობის ცენტრი წევრ სახელმწიფოშია, ხოლო ადამიანებით ვაჭრობა ხორციელდება მესამე ქვეყნებში, მართლმსაჯულების აღსრულება ადამიანებით ვაჭრობის დანაშაულზე უნდა დაიწყოს იმ წევრ სახელმწიფოში, რომლის მოქალაქეაა დამნაშავე, ხოლო დანაშაული ჩადენილია ამ წევრი სახელმწიფოს ტერიტორიის მიღმა. ანალოგიურად, მართლმსაჯულების აღსრულება ასევე შეიძლება დაიწყოს იმ წევრ სახელმწიფოში, რომელშიც დამნაშავეს ბინადრობის ნებართვა აქვს, ან მსხვერპლია მოქალაქე ან მას ბინადრობის ნებართვა აქვს, ან დანაშაული ჩადენილია წევრი სახელმწიფოს ტერიტორიის მიღმა, ამ სახელმწიფოში დაარსებული იურიდიული პირის სარგებლობისათვის.
- (17) წინამდებარე დირექტივა ადგენს საგანგებო დაცვის ზომებს ადამიანებით ვაჭრობის ნებისმიერი მსხვერპლისათვის მაშინ, როცა დირექტივა 2004/81/EC ითვალისწინებს ბინადრობის ნებართვის საკითხს მესამე ქვეყნის მოქალაქე ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის, ხოლო ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის დირექტივა 2004/38/EC „ევროკავშირის მოქალაქეთა და მათი ოჯახის წევრთა უფლებების შესახებ, თავისუფლად გადაადგილდნენ და იცხოვრონ წევრი სახელმწიფოების ტერიტორიებზე“<sup>(12)</sup>, არეგულირებს ევროკავშირის მოქალაქეებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის თავისუფალი გადაადგილებისა და ბინადრობის ნებართვას წევრი სახელმწიფოების ტერიტორიებზე, მათ შორის, დაცვას

ქვეყნიდან გაძევებისაგან. აქედან გამომდინარე, წინამდებარე დირექტივა არ არეგულირებს ტრეფიკინგის მსხვერპლთა ცხოვრების პირობებს წევრი სახელმწიფოების ტერიტორიებზე.

(18) აუცილებელია, ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლთ შიგნით თავიანთი უფლებების ქმედითი გამოყენება. ამდენად, მათ დახმარება და მხარდაჭერა უნდა გაეწიოთ სისხლის სამართალწარმოების დაწყებამდე, პროცესში და შემდეგ სათანადო დროის მანძილზე. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ რესურსები მსხვერპლთა დახმარების, მხარდაჭერისა და დაცვის უზრუნველსაყოფად. მიწოდებული დახმარება და მხარდაჭერა, როგორც მინიმუმ, უნდა მოიცავდეს ზომების ერთობლიობას, რაც აუცილებელია მსხვერპლის მდგომარეობიდან გამოსასვლელად და მოძალადეებისაგან თავის დასაღწევად. აღნიშნული ზომები პრაქტიკულად უნდა განხორციელდეს ადგილობრივი პროცედურების შესაბამისად ჩატარებული ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე, ითვალისწინებდეს გარემოებებს, კულტურულ კონტექსტსა და შესაბამისი პირის საჭიროებებს. პირს დახმარება და მხარდაჭერა უნდა გაეწიოს როგორც კი გამოვლინდება გონივრულად დასაბუთებული მინიმუმები იმის ვარაუდისათვის, რომ ის შეიძლება ტრეფიკინგის მსხვერპლი გამხდარიყო და მიუხედავად მისი სურვილისა, ითანამშრომლოს გამოძიებასთან მოწმის სახით. იმ შემთხვევებში, როცა მსხვერპლი კანონიერად არ ცხოვრობს შესაბამის წევრ სახელმწიფოში, დახმარება და მხარდაჭერა უნდა აღმოუჩნდეს მას უპირობოდ, სულ ცოტა, რეაგირების პერიოდში. იდენტიფიკაციის პროცესის ან რეაგირების პერიოდის დასრულების შემდეგ, თუ პირი არ ჩაითვალა უფლებამოსილად, მიიღოს ბინადრობის ნებართვა და არც კანონიერად ცხოვრობს წევრ სახელმწიფოში, ან მსხვერპლმა დატოვა წევრი სახელმწიფოს ტერიტორია, შესაბამისი წევრი სახელმწიფო აღარაა ვალდებული, განაგრძოს დახმარება და მხარდაჭერა, წინამდებარე დირექტივის საფუძველზე. აუცილებლობის შემთხვევაში, დახმარება და მხარდაჭერა უნდა გრძელდებოდეს სათანადო დროის მანძილზე სისხლის სამართალწარმოების დასრულებიდან, მაგალითად, თუ მსხვერპლი გადის სამედიცინო მკურნალობას მძიმე ფიზიკური ან ფსიქოლოგიური შედეგების გამო, ან მსხვერპლის უსაფრთხოება სარისკოა მისი განცხადებების გამო სისხლის სამართალწარმოების მსვლელობისას.

(19) საბჭოს 2001 წლის 15 მარტის ჩარჩო გადაწყვეტილება სისხლის სამართლის პროცესში მოწმეთა მდგომარეობის შესახებ <sup>(13)</sup> ადგენს მოწმეთა რიგ უფლებებს, მათ შორის, დაცვისა და კომპენსაციის მიღების უფლებებს. ამას გარდა, ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლთ დაუყოვნებლივ უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, მიიღონ სამართლებრივი კონსულტაცია, მართლმსაჯულების რელევანტურ სისტემაში მსხვერპლის როლის შესაბამისად, აღმოუჩინონ წარმომადგენლობა სასამართლოში, მათ შორის, კომპენსაციის მოთხოვნის მიზნით. ამგვარი სამართლებრივი კონსულტაცია და წარმომადგენლობა მსხვერპლს შეიძლება გაუწიონ უფლებამოსილმა ხელისუფლების ორგანოებმაც იმისათვის, რომ მათ სახელმწიფოს კომპენსაცია მოსთხოვონ. სამართლებრივი კონსულტაციის მიზანია, მიაწოდოს მსხვერპლს ინფორმაცია და მისცეს რჩევა მის ხელთ არსებულ სხვადასხვა შესაძლებლობაზე. კონსულტირება შეიძლება გაუწიოს პირმა, რომელსაც გავლილი აქვს შესაბამისი ტრენინგი სამართლის საკითხებში. არ არის აუცილებელი, ის იურისტი იყოს. სამართლებრივი კონსულტაცია და წარმომადგენლობა - შესაბამის სამართლებრივ სისტემაში მსხვერპლის როლიდან გამომდინარე - მსხვერპლს უსასყიდლოდ უნდა მიეწოდებოდეს, სულ მცირე, მაშინ

მანც, როცა მას ამის ფინანსური რესურსი არ აქვს, თანაც, წევრი სახელმწიფოს შიდა პროცედურების შესაბამისად. მეტი ალბათობაა, რომ ბავშვ მსხვერპლს არ ჰქონდეს საკმარისი ფინანსური რესურსი, ამდენად, მათთვის სამართლებრივი კონსულტაცია და წარმომადგენლობაც უფასო უნდა იყოს. გარდა ამისა, შიდა პროცედურების შესაბამისად, სასურველია ჩატარდეს რისკების ინდივიდუალური შეფასება, რის საფუძველზეც უზრუნველყოფილი იქნება მსხვერპლის დაცვა შურისძიებისაგან, დაშინებისა და ხელმეორე ტრეფიკინგისაგან.

(20) ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლი, ვინც განიცადა შეურაცხყოფა და დამამცირებელი მოპყრობა, რაც წესისამებრ ახლავს ტრეფიკინგს, ან გახდა სექსუალური შევიწროების, ძალადობის, გაუპატიურების მსხვერპლი, მოუწია მონური შრომა ან დაკარგა რომელიმე ორგანო, უნდა იყოს დაცული ხელმეორე ვიქტიმიზაციისაგან და განმეორებითი ტრავმისაგან სისხლის სამართალწარმოებისას. მსხვერპლს უნდა აერიდოს არასაჭირო განმეორებითი ინტერვიუები გამოძიების პროცესში, სამართლებრივი დევნისა და სასამართლო მოსმენებისას. მაგალითად, სადაც შესაძლებელია, რაც შეიძლება სწრაფად გაკეთდეს ინტერვიუების ვიდეოჩანაწერი. ამავე მიზნით, ტრეფიკინგის მსხვერპლმა სისხლის სამართლის გამოძიებისა და პროცესის მსვლელობისას უნდა მიიღოს მისი ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისი მკურნალობა. ინდივიდუალურ საჭიროებათა შეფასებისას გასათვალისწინებელია სხვადასხვა გარემოება, როგორცაა მსხვერპლის ასაკი, ორსულობა, ჯანმრთელობა, შეზღუდული შესაძლებლობა, რომელიც შეიძლება ჰქონდეს და სხვა პირადი გარემოებები, ასევე, ის ფიზიკური და ფსიქოლოგიური შედეგები, რაც მოჰყვა მსხვერპლის მიერ სისხლისსამართლებრივი ქმედების იძულებით ჩადენას. ის, თუ რა სახის მკურნალობას მიიღებს მსხვერპლი და როგორ, დამოკიდებულია ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ საფუძველებზე, სასამართლოს შეხედულების წესებზე, დამკვიდრებულ პრაქტიკასა და სახელმძღვანელო მითითებებზე და უნდა განიხილებოდეს თითოეულ შემთხვევაში ინდივიდუალურად.

(21) დახმარება და მხარდაჭერა მსხვერპლს უნდა აღმოუჩინონ შეთანხმებითა და ინფორმირებული თანხმობით. ამდენად, მსხვერპლს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია მის მიმართ განსახორციელებელ ზომებზე - არ შეიძლება ამ ზომების თავზე მოხვევა. თუ მსხვერპლი უარს იტყვის დახმარებასა და მხარდაჭერაზე, ეს არ წარმოშობს წევრი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოების ვალდებულებას, შესთავაზონ მას ალტერნატიული ღონისძიებები.

(22) წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლი ბავშვებისათვის ხელმისაწვდომი იყოს განსაკუთრებული დახმარება, მხარდაჭერა და დაცვითი ზომები, ყველა იმ ღონისძიების გარდა, რაც გათვალისწინებულია ნებისმიერი მსხვერპლისათვის. საჭიროა ამ ზომების უზრუნველყოფა, ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე და გაეროს 1989 წლის ბავშვის უფლებების კონვენციის შესაბამისად. თუ ტრეფიკინგის მსხვერპლის ასაკი გაურკვეველია და არსებობს მიზეზები ვარაუდისათვის, რომ ის 18 წელზე ნაკლებისაა, ასეთი ადამიანი უნდა ჩაითვალოს ბავშვად და დაუყოვნებლივ აღმოეჩინოს დახმარება, მხარდაჭერა და დაცვა. დახმარებისა და მხარდაჭერის ზომები ფოკუსირებული უნდა იყოს მსხვერპლი ბავშვის ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ აღდგენასა და საკითხის მყარ გადაწყვეტაზე პირისათვის. განათლების ხელმისაწვდომობა დაეხმარება

ბავშვებს საზოგადოებაში რეინტეგრაციის პროცესში. იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვი მსხვერპლი განსაკუთრებით მოწყვლადია, მისაღებია დამატებითი ზომები მის დასაცავად ინტერვიუებისას, რაც სისხლის სამართლის გამოძიებისა და პროცესის განუყოფელი ნაწილია.

(23) საგანგებო ყურადღებას საჭიროებენ თანმხლებების გარეშე მყოფი ტრეფიკინგის მსხვერპლი არასრულწლოვნები, რამდენადაც მათ სჭირდებათ განსაკუთრებული დახმარება და მხარდაჭერა გამორჩეული მოწყვლადობის გამო. თანმხლებების გარეშე მყოფი ტრეფიკინგის მსხვერპლი არასრულწლოვნის იდენტიფიკაციის მომენტშივე წევრმა სახელმწიფომ უნდა მიმართოს ბავშვის საჭიროებებზე მორგებულ ზომებს და უზრუნველყოს რელევანტური პროცედურული დაცვის მექანიზმების გამოყენება. აუცილებელი ზომებია გასატარებელი იმის უზრუნველსაყოფად, რომ სადაც ეს მისაღებია, დაინიშნოს მეურვე და/ან წარმომადგენელი, რათა დაიცვას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები. თანმხლებების გარეშე მყოფი ტრეფიკინგის მსხვერპლი თითოეული არასრულწლოვნის მომავალზე გადაწყვეტილება მისაღებია დროის უმოკლეს პერიოდში, მყარი გამოსავლის მოძიების მიზნით, ბავშვის საუკეთესო ინტერესების ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე, რაც გასათვალისწინებელია პირველ რიგში. მყარი გამოსავალი შეიძლება იყოს დაბრუნება და რეინტეგრაცია წარმოშობის ქვეყანასა ან დაბრუნების ქვეყანაში, ინტეგრაცია მასპინძელ საზოგადოებაში, საერთაშორისო დაცვის სტატუსის ან სხვა სტატუსის მინიჭება, წევრი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

(24) თუ ამ დირექტივის შესაბამისად სავალდებულოა არასრულწლოვნისთვის დაინიშნოს მეურვე და/ან წარმომადგენელი, ეს როლი შეიძლება შეასრულოს ერთი და იგივე პირმა ან იურიდიულმა პირმა ან დაწესებულებამ ან ხელისუფლების ორგანომ.

(25) წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შემოიღონ და/ან გააძლიერონ პოლიტიკა ადამიანებით ვაჭრობის აღსაკვეთად, მათ შორის, დაგმონ და შეამცირონ მოთხოვნა ისეთ სამუშაოზე, რომელიც წააქეზებს ექსპლუატაციის ნებისმიერ ფორმას და გაატაროს ზომები, რომ შეამციროს ადამიანებით ვაჭრობის რისკი, მიმართოს კვლევას, მათ შორის, იკვლიოს ადამიანებით ვაჭრობის ახალი ფორმები, ასევე იმუშაოს ინფორმაციის გავრცელებაზე, ცნობიერების ამაღლებასა და განათლების საკითხებზე. ამგვარ ინიციატივებში წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ გენდერული პერსპექტივა და ბავშვის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა. საჯარო მოხელეები, რომელთაც სავარაუდოდ შეიძლება მოუწიოთ ტრეფიკინგის მსხვერპლსა ან პოტენციურ მსხვერპლთან კონტაქტი, უნდა გადამზადდნენ სათანადოდ, რომ შეძლონ ამგვარი მსხვერპლის იდენტიფიცირება და მასთან მუშაობა. ტრეფიკინგის გავლა სავალდებულოდ უნდა დაუწესდეთ იმ კატეგორიის თანამშრომლებს, რომლებსაც, სავარაუდოდ, კავშირი ექნებათ მსხვერპლთან: პოლიციელებს, მესაზღვრეებს, მიგრაციის სამსახურის თანამშრომლებს, საზოგადოებრივ პროკურორებს, ადვოკატებს, სასამართლო სისტემის წევრებს და სასამართლოს თანამშრომლებს, შრომის ინსპექტორებს, სოციალური მომსახურების, ბავშვთა და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურების პერსონალს და საკონსულოს წარმომადგენლებს, თუმცა, ადგილობრივი ვითარების გათვალისწინებით, შესაძლოა, მოიცავდეს ასევე საჯარო მოხელეთა სხვა ჯგუფებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ შეხება ჰქონდეთ ტრეფიკინგის მსხვერპლთან თავიანთი მუშაობის პროცესში.



(26) დირექტივა 2009/52/EC ითვალისწინებს სანქციებს იმ დამსაქმებლებისათვის, ვინც ქირაობს მესამე ქვეყნის უკანონოდ მცხოვრებ მოქალაქეებს, რომლებიც მართალია, ბრალი არ დასდებიან ან არ გასამართლებულან ადამიანებით ვაჭრობაში, მაგრამ იყენებენ იმ ადამიანთა შრომას ან სამსახურს, რომელზეც იციან, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლია. დამატებით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ სანქციების დაწესების შესაძლებლობა მათზე, ვინც იყენებს მსხვერპლის ნებისმიერი სახის მომსახურებას, იცის რა, რომ იგი ტრეფიკინგის მსხვერპლია. ამგვარი შემდგომი კრიმინალიზაცია შეიძლება შეეხოს მესამე ქვეყნის ლეგალურად მცხოვრები მოქალაქეებისა და ევროკავშირის მოქალაქეების დამსაქმებლებსაც, ასევე ტრეფიკინგის მსხვერპლისაგან სექსუალური მომსახურების შემსყიდველთა, მიუხედავად მათი მოქალაქეობისა.

(27) წევრმა სახელმწიფოებმა უნდა ჩამოაყალიბონ მონიტორინგის ადგილობრივი სისტემები, როგორცაა ადგილობრივი მომხსენებლები ან სხვა ექვივალენტური მექანიზმები ისე, როგორც სათანადოდ მიიჩნევენ თავიანთი შიდა მოწყობიდან გამომდინარე და მინიმალური საჭიროებების გათვალისწინებით. განსაზღვრული ამოცანების მქონე სტრუქტურა საჭიროა ადამიანებით ვაჭრობის ტენდენციების შესაფასებლად, სტატისტიკის მოსაგროვებლად, ტრეფიკინგის საწინააღმდეგო ქმედებათა შედეგების გასაზომად და რეგულარული ანგარიშებისთვის. ამგვარი ადგილობრივი მომხსენებლები ან ექვივალენტური მექანიზმები უკვე შექმნილია ევროკავშირის არაფორმალური ქსელის სახით, რისი საფუძველიც გახდა 2009 წლის 4 ივნისს მიღებული საბჭოს დასკვნები „ადამიანებით ვაჭრობის საკითხებზე ადგილობრივი მომხსენებლებისა ან ექვივალენტური მექანიზმების ევროკავშირის არაფორმალური ქსელის დაარსების შესახებ“. კოორდინატორი ტრეფიკინგთან ბრძოლის საკითხებში მონაწილეობას მიიღებს აღნიშნული ქსელის მუშაობაში, რომელიც ევროკავშირსა და წევრ სახელმწიფოებს მიაწვდის ობიექტურ, სანდო, დაზუსტებულ და განახლებულ სტრატეგიულ ინფორმაციას ადამიანებით ვაჭრობის სფეროზე, მიმოცვლის გამოცდილებასა და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს ადამიანებით ვაჭრობის პრევენციისა და აღკვეთის საქმეში ევროკავშირის დონეზე. ევროპის პარლამენტს უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება, მონაწილეობდეს ადგილობრივი მომხსენებლებისა ან ექვივალენტური მექანიზმების ერთობლივ ღონისძიებებში.

(28) ტრეფიკინგის საწინააღმდეგო ქმედებათა შესაფასებლად, ევროკავშირმა უნდა განაგრძოს მუშაობა მეთოდოლოგიისა და მონაცემთა შეგროვების მეთოდების შესამუშავებლად, რათა შეძლოს შესადარებელი სტატისტიკის მოგროვება.

(29) სტოკჰოლმის პროგრამის შესაბამისად და ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ევროკავშირის კონსოლიდირებული სტრატეგიის შექმნისათვის, რისი მიზანიც იქნება ევროკავშირისა და წევრი სახელმწიფოების ვალდებულებისა და გაღებული ძალისხმევის გაძლიერება ტრეფიკინგის პრევენციისა და აღკვეთისათვის, წევრმა სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ ტრეფიკინგთან ბრძოლის საკითხებში კოორდინატორის მუშაობას. კოორდინატორის მოვალეობა შეიძლება იყოს ევროკავშირის შესაბამის ინსტიტუციებსა და სააგენტოებს შორის, ასევე, წევრ სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის კოორდინაციისა და ურთიერთმეთაუნხმებულობის გაუმჯობესება, გაკეთებული საქმეების გამეორების თავიდან

აცილების მიზნით, ტრეფიკინგის წინააღმდეგ პოლიტიკისა და სტრატეგიების შემუშავება ან არსებულის გაუმჯობესება, ასევე ევროკავშირის ინსტიტუციების მიმართ ანგარიშგების დახვეწა.

(30) წინამდებარე დირექტივის მიზანია ჩარჩო გადაწყვეტილების 2002/629/JHA შესწორება და განვრცობა. რამდენადაც შესატანი ცვლილებები არსებითი ხასიათისაა და რაოდენობრივადაც ბევრია, სიცხადისათვის უმჯობესია, რომ ჩარჩო გადაწყვეტილება მთლიანად ჩანაცვლდეს იმ წევრი სახელმწიფოებისათვის, რომლებიც მონაწილეობენ ამ დირექტივის მიღებაში.

(31) „უკეთესი კანონშემოქმედების შესახებ ინსტიტუციათაშორისი შეთანხმების“ 34-ე პუნქტის თანახმად <sup>(4)</sup>, წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებენ, შეადგინონ ცხრილი, რომელიც, რამდენადაც შესაძლებელია, ასახავს კორელაციას წინამდებარე დირექტივასა და შესწორებულ დებულებებს შორის და გაასაჯაროონ ის - ეს წაადგება თავად სახელმწიფოსაც და ევროკავშირის ინტერესებსაც.

(32) რამდენადაც წინამდებარე დირექტივის მიზანი, კერძოდ კი ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა, საკმარისად ვერ მიიღწევა წევრი სახელმწიფოების მიერ და, აქედან გამომდინარე, მასშტაბისა და მოქმედებათა შედეგის თვალსაზრისით, უმჯობესია ევროკავშირის დონეზე გადაწყდეს, ევროკავშირის შეუძლია ზომების მიღება სუბსიდიარობის პრინციპის შესაბამისად, როგორც ეს დადგენილია ევროკავშირის წესდების მე-5 მუხლით. პროპორციულობის პრინციპის თანახმად, როგორც ეს დადგენილია აღნიშნულ მუხლში, წინამდებარე დირექტივა არ გასცდება იმ ფარგლებს, რაც აუცილებელია მიზნის მისაღწევად.

(33) წინამდებარე დირექტივა აღიარებს ფუნდამენტურ უფლებებს და ეთანხმება აღიარებულ პრინციპებს, კერძოდ კი მათ, რაც დაცულია ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ადამიანური ღირსება, მონობის, იძულებითი შრომისა და ადამიანებით ვაჭრობის აკრძალვა, წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის აკრძალვა, ბავშვის უფლებები, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება, გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება, პირადი მონაცემების დაცვა, სამართლიანი დაცვის ეფექტიანი საშუალებების ხელმისაწვდომობა, სამართლიანი სასამართლოს უფლება, სისხლის სამართლის დანაშაულებისა და სასჯელების კანონიერებისა და პროპორციულობის პრინციპები. კერძოდ, წინამდებარე დირექტივა ესწრაფვის ყველა აღნიშნული უფლებისა და პრინციპის სრულ პატივისცემას და იგი შესაბამისად უნდა განხორციელდეს.

(34) ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებასა და ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებას თან ერთვის ოქმი გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიის პოზიციის შესახებ თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცესთან მიმართებით. აღნიშნული ოქმის მე-3 მუხლის თანახმად, ირლანდია აცხადებს სურვილს, რომ მონაწილეობდეს წინამდებარე დირექტივის მიღებასა და განხორციელებაში.

(35) ოქმი გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიის პოზიციის შესახებ თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცესთან მიმართებით, რომელიც თან ერთვის ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებასა და ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებას, 1-ელ და მე-2 მუხლებში აცხადებს რომ გაერთიანებული სამეფო არ

მონაწილეობს წინამდებარე დირექტივის მიღებაში და არ არის ვალდებული მის დებულებებსა და მათ გამოყენებაზე, ისე, რომ არ ირღვევა ამ ოქმის მე-4 მუხლი.

(36) ოქმი დანიის პოზიციის შესახებ თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცესთან მიმართებით, რომელიც თან ერთვის ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებასა და ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებას, 1-ელ და მე-2 მუხლებში აცხადებს, რომ დანია არ მონაწილეობს წინამდებარე დირექტივის მიღებაში და არ არის ვალდებული მის დებულებებსა და მათ გამოყენებაზე;

იღებენ წინამდებარე დირექტივას:

### *მუხლი 1*

#### **შესწავლის საგანი**

წინამდებარე დირექტივა ადგენს სისხლის სამართლის დანაშაულისა და სანქციების მინიმალურ წესებს ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სფეროში. მას ასევე შემოაქვს დებულებები, რომლებიც ითვალისწინებს გენდერულ პერსპექტივას, რათა გააძლიეროს ამ დანაშაულის პრევენცია და, აქედან გამომდინარე, მსხვერპლთა დაცვა.

### *მუხლი 2*

#### **ადამიანებით ვაჭრობასთან დაკავშირებული დანაშაულები**

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ შემდეგი საერთაშორისო მოქმედებები იყოს დასჯადი:

ექსპლუატაციის მიზნით ადამიანების დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაყვანა, გადამალვა ან მიღება, მათ შორის, ამ ადამიანებზე კონტროლის გადაცემა ან გაცვლა, დაშინებით ან ძალის გამოყენებით ან იძულების რაიმე სხვა ფორმით, გატაცებით, თაღლითობით, მოტყუებით, ძალის ან პირის მოწყვლადობის ბოროტად გამოყენებით, ასევე, ფულის თუ სარგებლის მიცემით ან მიღებით, იმ მიზნით, რომ მიიღოს იმ პირის თანხმობა, რომელსაც აქვს კონტროლი სხვა პირზე.

2. მოწყვლადობა ნიშნავს მდგომარეობას, რომელშიც შესაბამის პირს არ აქვს რეალური ან მისაღები ალტერნატივა იმ ბოროტად მოპყრობის წინააღმდეგ, რის წინაშეც დგას.

3. ექსპლუატაცია უნდა მოიცავდეს, როგორც მინიმუმ, სხვათა ექსპლუატაციას პროსტიტუციის მიზნით ან სექსუალური ექსპლუატაციის სხვა ფორმებს, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მათ შორის, მათხოვრობას, მონურ შრომას ან სხვა მსგავს საქმიანობას თუ მომსახურებას, ან ექსპლუატაციას სისხლის სამართლის საქმიანობისათვის, ან ორგანოების ამოღებისათვის.

4. ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლის თანხმობა ექსპლუატაციაზე, იქნება ეს განზრახული თუ რეალური, არ არის რელევანტური, როცა გამოიყენება 1-ელ პუნქტში ჩამოთვლილთაგან რომელიმე საშუალება.

5. თუ 1-ელ პუნქტში ჩამოთვლილი რომელიმე მოქმედება ეხება ბავშვს, ეს უნდა იყოს ტრეფიკინგის დასჯადი დანაშაული, თუნდაც გამოყენებული არ ყოფილიყო 1-ელ პუნქტში ჩამოთვლილი არცერთი საშუალება.
6. ამ დირექტივის მიზნებისათვის, „ბავშვი“ ნიშნავს ნებისმიერ 18 წლამდე ასაკის პირს.

### *მუხლი 3*

#### **წახალისება, დახმარება, თანამონაწილეობა და მცდელობა**

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ მე-2 მუხლში დასახელებული დანაშაულების წახალისება, მათ ჩადენაში დახმარება, თანამონაწილეობა ან ჩადენის მცდელობა იყოს დასჯადი.

### *მუხლი 4*

#### **სასჯელები**

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ მე-2 მუხლში მოხსენიებული დანაშაულებისთვის მაქსიმალური სასჯელი იყოს სულ ცოტა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.
2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ მე-2 მუხლში მოხსენიებული დანაშაულებისათვის მაქსიმალური სასჯელი იყოს სულ ცოტა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, თუ ეს დანაშაული:
  - (a) ჩადენილია იმ მსხვერპლის მიმართ, ვინც განსაკუთრებულად მოწყვლადია, რაც, ამ დირექტივის კონტექსტში, უნდა მოიცავდეს სულ ცოტა ბავშვ მსხვერპლს;
  - (b) ჩადენილია სისხლის სამართლის ორგანიზებული დანაშაულის ფარგლებში, როგორც ამას განმარტავს საბჭოს 2008 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება 2008/841/JHA ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ <sup>(15)</sup>;
  - (c) განზრახულად ან ძლიერი გულგრილობით საფრთხეს უქმნის მსხვერპლის სიცოცხლეს, ან
  - (d) ჩადენილია მძიმე ძალადობის გზით, ან გამოიწვია მსხვერპლის სერიოზული დაზიანება.
3. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ მე-2 მუხლში მოხსენიებულ დანაშაულთა ჩადენა საჯარო მოხელეების მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას, ჩაითვალოს დამამძიმებელ გარემოებად.
4. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ მე-3 მუხლში მოხსენიებულ დანაშაულთა ჩადენა დაისაჯოს ქმედითი, პროპორციული და შემაკავებელი სასჯელით, რაც შეიძლება მოჰყვეს დანებებას.

### *მუხლი 5*

#### **იურიდიული პირების პასუხისმგებლობა**

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ იურიდიულ პირებს დაეკისროთ პასუხისმგებლობა მე-2 და მე-3 მუხლებში მოხსენიებული დანაშაულებისათვის, თუ ის ჩადენილია მათი სარგებლობისთვის ნებისმიერი პირის მიერ, რომელიც მოქმედებს ინდივიდუალურად ან როგორც იურიდიული პირის ორგანოს წარმომადგენელი და რომელსაც უკავია წამყვანი პოზიცია შემდეგ საფუძველზე:
  - (a) აქვს იურიდიული პირის წარმომადგენლობის უფლებამოსილება;
  - (b) აქვს უფლებამოსილება, მიიღოს გადაწყვეტილება იურიდიული პირის სახელით;
  - (c) აქვს უფლებამოსილება, განახორციელოს კონტროლი იურიდიული პირის ფარგლებში.
2. წევრმა სახელმწიფოებმა ასევე უნდა უზრუნველყონ, რომ იურიდიულ პირს დაეკისროს პასუხისმგებლობა, როცა არასაკმარისი ზედამხედველობის ან კონტროლის გამო, 1-ელ პუნქტში დასახელებული პირის მხრიდან შესაძლებელი გახდა მე-2 და მე-3 მუხლებში მოხსენიებული დანაშაულის ჩადენა, ამ იურიდიული პირის სასარგებლოდ, მის დაქვემდებარებაში მყოფი პირის მიერ.
3. 1-ელი და მე-2 პუნქტების შესაბამისად პასუხისმგებლობის დაკისრება არ გამოორიცხავს სისხლის სამართალწარმოებას იმ ფიზიკურ პირთა მიმართ, ვინც ჩაიდინა ან წააქეზა მე-2 და მე-3 მუხლებში დასახელებული დანაშაულები ან ხელი შეუწყო მათ.
4. წინამდებარე დირექტივის მიზნებისათვის, „იურიდიული პირი“ უნდა ნიშნავდეს ყველა დაწესებულებას, რომელსაც აქვს იურიდიული პირის სტატუსი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გარდა სახელმწიფო ან საჯარო ორგანოებისა, რომლებიც სახელმწიფოს უფლებამოსილებას ექვემდებარებიან და საერთაშორისო ორგანიზაციებისა.

## *მუხლი 6*

### **სასჯელის სახეები იურიდიულ პირებზე**

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ იურიდიული პირი, რომელსაც დაეკისრა პასუხისმგებლობა 5(1) ან (2) მუხლების მიხედვით, დაექვემდებაროს ქმედით, პროპორციულ და შემაკავებელ სასჯელს, რაც შეიძლება იყოს სისხლის სამართლის ან არა სისხლის სამართლის ჯარიმა და შეიძლება მოიცავდეს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე სასჯელს:

- (a) ჩამოშორება სოციალური დახმარების ან ჰუმანიტარული დახმარების გაცემისაგან;
- (b) დროებითი ან მუდმივი დისკვალიფიკაცია კომერციული საქმიანობის გაწევისგან;
- (c) სასამართლო ზედამხედველობის დაწესება;
- (d) საქმიანობის შეწყვეტა და დასრულება სასამართლო გადაწყვეტილების ძალით;
- (e) დროებითი ან მუდმივი დახურვა იმ კომპანიების, რომლებიც დანაშაულის ჩადენისათვის იქნენ გამოყენებული.



## მუხლი 7

### ამოღება და კონფისკაცია

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ მის შესაბამის ორგანოებს ჰქონდეთ უფლებამოსილება მე-2 და მე-3 მუხლებში მოხსენიებული დანაშაულების ჩადენის საშუალებებისა და დანაშაულით მიღებული შემოსავლების ამოღებისა და კონფისკაციის.

## მუხლი 8

### უარი მსხვერპლის მიმართ სამართლებრივი დევნისა და სასჯელის დაკისრებაზე

წევრმა სახელმწიფოებმა, თავიანთ სამართლებრივ სისტემებში არსებული ძირითადი პრინციპების თანახმად, უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ შესაბამის ხელისუფლების ორგანოებს ჰქონდეთ უფლებამოსილება, არ დაიწყონ სამართლებრივი დევნა ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლის მიმართ და არ დააკისრონ სასჯელი მისი ჩართულობისათვის სისხლისსამართლებრივ მოქმედებაში, რაც მან იძულებით გააკეთა სწორედ იმის შედეგად, რომ მის მიმართ განხორციელდა მე-2 მუხლში მოხსენიებული რომელიმე ქმედება.

## მუხლი 9

### გამოძიება და სამართლებრივი დევნა

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მე-2 და მე-3 მუხლებში მოხსენიებულ დანაშაულთა გამოძიება ან სამართლებრივი დევნა არ იყოს დამოკიდებული მსხვერპლის მიერ ფაქტის გაცხადებასა და ბრალდებაზე, სისხლის სამართალწარმოება შეიძლება გაგრძელდეს მაშინაც, თუ მსხვერპლმა გამოიტანა თავისი განცხადება.
2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები იმისათვის, რომ - სადაც ქმედების ბუნება ამის საშუალებას იძლევა - სამართლებრივი დევნა მე-2 და მე-3 მუხლებში მოხსენიებული დანაშაულებისათვის გაგრძელდეს საკმარისი დროის მანძილზე მას შემდეგ, რაც მსხვერპლი სრულწლოვანების ასაკს მიაღწევს.
3. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები იმისათვის, რომ მე-2 და მე-3 მუხლებში მოხსენიებული დანაშაულებისათვის გამოძიებასა თუ სისხლისსამართლებრივ დევნაზე პასუხისმგებელი პირები, განყოფილებები ან სამსახურები გადამზადებულნი იყვნენ სათანადოდ.
4. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ მე-2 და მე-3 მუხლებში მოხსენიებული დანაშაულებისათვის გამოძიებასა თუ სისხლისსამართლებრივ დევნაზე პასუხისმგებელ პირებს ხელი მიუწვდებოდეთ ქმედით საგამოძიებო ინსტრუმენტებზე, რომლებიც გამოიყენება ორგანიზებული დანაშაულების ან სხვა მძიმე დანაშაულების შემთხვევაში.

## მუხლი 10

## იურისდიქცია

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები, რათა თავიანთი იურისდიქცია გაავრცელონ მე-2 და მე-3 მუხლებში მოხსენიებულ დანაშაულებზე, როცა
  - (a) დანაშაული ნაწილობრივ ან სრულად ჩადენილია მათ ტერიტორიაზე; ან
  - (b) დამნაშავე მათი მოქალაქეა.
2. წევრმა სახელმწიფომ უნდა აცნობოს კომისიას, როცა გადაწყვეტს, რომ მე-2 და მე-3 მუხლებში მოხსენიებულ დანაშაულებზე გაავრცელოს თავისი იურისდიქცია მისი ტერიტორიის მიღმა, *inter alia*, თუ:
  - (a) დანაშაული ჩადენილია მისი რომელიმე მოქალაქის მიმართ ან იმ პირის მიმართ, ვისაც მის ტერიტორიაზე ბინადრობის ნებართვა აქვს;
  - (b) დანაშაული ჩადენილია იმ იურიდიული პირის სასარგებლოდ, რომელიც დაარსებულია მის ტერიტორიაზე; ან
  - (c) დამნაშავეს აქვს მის ტერიტორიაზე ბინადრობის ნებართვა.
3. შესაბამისი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიის მიღმა ჩადენილი მე-2 და მე-3 მუხლებში მოხსენიებული დანაშაულების სამართლებრივი დევნისთვის, თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ იმ შემთხვევებში, რომლებიც აღნიშნულია 1-ლი პუნქტის (b) ქვეპუნქტში და, ასევე შესაძლოა, იმ შემთხვევებში, რომლებიც აღნიშნულია მე-2 პუნქტში, უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ მათი იურისდიქცია არ დაექვემდებაროს ქვემოთ დასახელებულ არცერთ პირობას:
  - (a) ქმედება ითვლება სისხლის სამართლის დანაშაულად იმ ადგილას, სადაც ის ჩადენილია; ან
  - (b) სამართლებრივი დევნა შეიძლება დაიწყოს მხოლოდ მსხვერპლის განცხადების საფუძველზე იმ ქვეყანაში, სადაც დანაშაული მოხდა, ან იმ სახელმწიფოსგან შეტყობინების საფუძველზე, სადაც დანაშაული მოხდა.

## მუხლი 11

### ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლთა დახმარება და მხარდაჭერა

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ მსხვერპლს აღმოუჩინონ დახმარება და მხარდაჭერა სისხლის სამართალწარმოების დაწყებამდე, პროცესში და დასრულების შემდეგ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რათა მათ შეძლონ ისარგებლონ თავიანთი უფლებებით, რომლებიც დაცულია ჩარჩო გადაწყვეტილებაში 2001/220/JHA და წინამდებარე დირექტივაში.
2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ პირმა მიიღოს დახმარება და მხარდაჭერა მაშინვე, როგორც კი უფლებამოსილ ორგანოებს

იქნებათ გონივრული საფუძველი ივარაუდონ, რომ იგი შესაძლოა გამხდარიყო მე-2 და მე-3 მუხლებში მოხსენიებული დანაშაულების მსხვერპლი.

3. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები იმისათვის, რომ მსხვერპლის დახმარება და მხარდაჭერა არ იყოს დამოკიდებული მის სურვილზე, ითანამშრომლოს გამოძიებასთან, სამართალდევნის ორგანოებსა თუ სასამართლოსთან, ისე, რომ არ დაირღვეს დირექტივა 2004/81/EC ან სხვა ანალოგიური ადგილობრივი წესები.
4. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები სათანადო მექანიზმების შესაქმნელად, რომელთა მიზანიც იქნება მსხვერპლთა გამოვლენა, დახმარება და მხარდაჭერა, სხვა შესაბამის მხარდამჭერ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.
5. 1-ელ და მე-2 პუნქტებში მოხსენიებული დახმარებისა და მხარდაჭერის ზომები უნდა მიეწოდებოდეს მსხვერპლს მისი ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე და მოიცავდეს, სულ ცოტა, მსხვერპლის ცხოვრებისათვის საჭირო საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფას იმ ზომების გამოყენებით, როგორცაა სათანადო და უსაფრთხო საცხოვრისისა და მატერიალური დახმარების აღმოჩენა, აგრეთვე, აუცილებელი სამედიცინო, მათ შორის, ფსიქოლოგიური დახმარება, ადვოკატირება და ინფორმაციის მიწოდება, წერილობითი მასალისა და ზეპირი საუბრის თარგმნა, საჭიროების შემთხვევაში.
6. მე-5 პუნქტში ხსენებული ინფორმაცია, სადაც რელევანტურია, უნდა მოიცავდეს შემდეგს: ინფორმაციას რეაგირებისა და აღდგენითი ზომების შესახებ, როგორც ამას ითვალისწინებს დირექტივა 2004/81/EC; ინფორმაციას საერთაშორისო დაცვის მინიჭების შესაძლებლობაზე, როგორც ამას ითვალისწინებს საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის დირექტივა 2004/83/EC მესამე ქვეყნის მოქალაქეებისა ან მოქალაქეობის არმქონე პირების კვალიფიკაციისა და მათთვის ლტოლვილის ან სხვა ტიპის საერთაშორისო დაცვის საჭიროების მქონე პირის სტატუსის მინიჭების მინიმალური სტანდარტისა და მინიჭებული დაცვის არსის შესახებ <sup>(16)</sup>; ინფორმაციას საბჭოს 2005 წლის 1 დეკემბრის დირექტივაზე 2005/85/EC წევრ სახელმწიფოებში ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისა და ჩამორთმევის პროცედურათა მინიმალური სტანდარტის შესახებ <sup>(17)</sup> ან სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტებსა თუ მსგავს ადგილობრივ კანონებში დაცულ ინფორმაციას.
7. წევრი სახელმწიფოები უნდა ზრუნავდნენ საგანგებო საჭიროების მქონე მსხვერპლზე, როცა ამ საჭიროებას კონკრეტულად განაპირობებს მისი ორსულობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, შეზღუდული შესაძლებლობა, ფსიქიკური ან ფსიქოლოგიური აშლილობა, ან ტრავმა, გამოწვეული ფსიქოლოგიური, ფიზიკური თუ სექსუალური ძალადობის სერიოზული ფორმებით მიყენებული ზიანისაგან.

## მუხლი 12

### ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლთა დაცვა სისხლის სამართლის გამოძიებისას და სამართალწარმოებისას

1. ამ მუხლით გათვალისწინებული დაცვის ღონისძიებები უნდა გამოიყენებოდეს იმ უფლებებზე დამატებით, რომლებიც ჩარჩო გადაწყვეტილებით 2001/220/JHA არის დადგენილი.

2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლთ დაუყოვნებლივ მიუწვდებოდეთ ხელი იურიდიულ კონსულტაციაზე და, შესაბამის სამართლებრივ სისტემაში მსხვერპლის როლიდან გამომდინარე, იურიდიულ წარმომადგენლობაზე, მათ შორის, კომპენსაციის მოთხოვნის მიზნით. იურიდიული კონსულტაცია და იურიდიული წარმომადგენლობა უნდა იყოს უფასო, თუ მსხვერპლს საკმარისი ფინანსური რესურსი არ გააჩნია.
3. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლი იღებდეს სათანადო დაცვას რისკების ინდივიდუალური შემოწმების საფუძველზე, inter alia, მოწმეთა დაცვის პროგრამებისა ან სხვა მსგავსი ზომების ხელმისაწვდომობის მეშვეობით, შესაფერის ვითარებაში და ეროვნული კანონმდებლობით ან პროცედურით განსაზღვრული საფუძვლების შესაბამისად.
4. დაცვის უფლების შელახვის გარეშე და უფლებამოსილი ორგანოს მიერ მსხვერპლის პირადი გარემოებების ინდივიდუალური შეფასების მიხედვით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლი იღებდეს განსაკუთრებულ მოპყრობას, რისი მიზანიც იქნება მეორადი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება. ეს მიიღწევა, თუ ეროვნული კანონმდებლობით ან სასამართლოს შეხედულებით, პრაქტიკითა თუ სახელმძღვანელო მითითებებით განსაზღვრული საფუძვლების თანახმად, რამდენადაც ეს შესაძლებელია, თავიდან იქნება აცილებული შემდეგი გარემოებები:
  - (a) გამოძიების, სამართლებრივი დევნის ან სასამართლო განხილვისას ინტერვიუების არასაჭირო გამეორება
  - (b) ვიზუალური კონტაქტი მსხვერპლსა და ბრალდებულს შორის, მათ შორის, ჩვენების მიცემისას - ინტერვიუებისა თუ ჯვარედინი დაკითხვისას - სათანადო საშუალებების, მათ შორის, საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გზით;
  - (c) ჩვენების მიცემა ღია სასამართლო მოსმენისას; და
  - (d) არასაჭირო დაკითხვები მსხვერპლის პირადი ცხოვრების გარშემო.

### *მუხლი 13*

#### **ზოგადი დებულებები ადამიანებით ვაჭრობის ბავშვ მსხვერპლთა დახმარების, მხარდაჭერისა და დაცვის ზომების შესახებ**

1. ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლ ბავშვებს უნდა გაეწიოთ დახმარება, მხარდაჭერა და დაცვა. წინამდებარე დირექტივის გამოყენებისას, უპირატესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.
2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ როცა ტრეფიკინგის მსხვერპლის ასაკი გაურკვეველია და არსებობს მიზეზები იმისათვის, რომ პირი ჩაითვალოს ბავშვად, იგი უნდა განიხილებოდეს როგორც ბავშვი, რათა მიიღოს დაუყოვნებელი დახმარება, მხარდაჭერა და დაცვა, მე-14 და მე-15 მუხლების შესაბამისად.

## მუხლი 14

### ბავშვი მსხვერპლის დახმარება და მხარდაჭერა

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ გადაიდგას საგანგებო ნაბიჯები ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლი ბავშვის დახმარებისა და მხარდაჭერისათვის, მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში, მისი ფიზიკური და ფსიქო-სოციალური აღდგენისათვის, თითოეული კონკრეტული ბავშვი მსხვერპლის განსაკუთრებულ გარემოებათა ინდივიდუალური შეფასების კვალად, ბავშვის შეხედულებების, საჭიროებებისა და წუხილების გათვალისწინებით, ბავშვისთვის მყარი გამოსავლის გამოძებნის მიზნით. წევრმა სახელმწიფოებმა გონივრულ ვადაში უნდა უზრუნველყონ განათლების ხელმისაწვდომობა მსხვერპლი ბავშვებისა და მსხვერპლთა შვილებისათვის, რომელთაც მიეწოდებათ დახმარება და მხარდაჭერა მე-11 მუხლის შესაბამისად, თავიანთი ეროვნული კანონმდებლობების მიხედვით.
2. წევრმა სახელმწიფოებმა ტრეფიკინგის მსხვერპლ ბავშვს უნდა დაუნიშნონ მეურვე ან წარმომადგენელი იმ მომენტიდან, როცა ხელისუფლების ორგანოები ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად დაადგენენ, რომ მშობლის პასუხისმგებლობის მქონე პირები, მათსა და მსხვერპლ ბავშვს შორის ინტერესთა კონფლიქტის შედეგად, ვეღარ უზრუნველყოფენ ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და/ან ბავშვის წარმომადგენლობას.
3. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები, სადაც ეს მისაღები და შესაძლებელია, რათა აღმოუჩინონ დახმარება და მხარდაჭერა ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლი ბავშვის ოჯახებს, როცა ოჯახი იმყოფება წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. კერძოდ, წევრმა სახელმწიფოებმა ოჯახების მიმართ უნდა გამოიყენონ ჩარჩო გადაწყვეტილების 2001/220/JHA მე-4 მუხლი.
4. ეს მუხლი უნდა გამოიყენებოდეს მე-11 მუხლის დარღვევის გარეშე.

## მუხლი 15

### ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლ ბავშვთა დაცვა სისხლის სამართლის გამოძიებისა და სამართალწარმოებისას

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ სისხლის სამართლის გამოძიებისა და სამართალწარმოებისას, უფლებამოსილმა ხელისუფლებმა ორგანოებმა ტრეფიკინგის მსხვერპლ ბავშვს დაუნიშნონ წარმომადგენელი, შესაბამის სამართლებრივ სისტემაში მსხვერპლის როლიდან გამომდინარე, როცა შიდა კანონმდებლობის თანახმად, მშობლის პასუხისმგებლობის მქონე პირები ვეღარ ასრულებენ ბავშვის წარმომადგენლობას, მათსა და მსხვერპლ ბავშვს შორის ინტერესთა კონფლიქტის გამო.
2. წევრმა სახელმწიფოებმა, შესაბამის სამართლებრივ სისტემაში მსხვერპლის როლიდან გამომდინარე, უნდა უზრუნველყონ, რომ ბავშვს მსხვერპლს დაუყოვნებლივ მიუწვდებოდეს ხელი უფასო იურიდიულ კონსულტაციასა და უფასო იურიდიულ წარმომადგენლობაზე,



მათ შორის, კომპენსაციის მოთხოვნის მიზნით, თუ მას საკმარისი ფინანსური რესურსი არ გააჩნია.

3. დაცვის უფლების შელახვის გარეშე, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ მე-2 და მე-3 მუხლებში მოხსენიებული ნებისმიერი დანაშაულის შემთხვევაში წარმოებული სისხლის სამართლის გამოძიებისა და სამართალწარმოებისას:

(a) ინტერვიუ მსხვერპლ ბავშვთან ჩატარდეს გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე მას შემდეგ, რაც უფლებამოსილ ხელისუფლების ორგანოებს ეცნობებათ ფაქტების შესახებ;

(b) როცა საჭიროა, ინტერვიუები მსხვერპლ ბავშვთან ჩატარდეს ამ მიზნით გამოყოფილ ან მოწყობილ შენობაში;

(c) როცა საჭიროა, მსხვერპლ ბავშვთან ინტერვიუ ჩატარდეს ამ მიზნისათვის საგანგებოდ გადამზადებული პროფესიონალის მიერ ან პროფესიონალის მეშვეობით;

(d) ბავშვ მსხვერპლთან ყველა ინტერვიუ ჩატარდეს ერთი და იმავე ადამიანმა, თუ ეს შესაძლებელია და როცა ეს მისაღებია;

(e) ინტერვიუების რაოდენობა იყოს რაც შეიძლება შეზღუდული და ისიც ჩატარდეს მხოლოდ მაშინ, როცა ეს მკაცრად აუცილებელია სისხლის სამართლის გამოძიებისა და სამართალწარმოების მიზნებისათვის;

(f) ბავშვ მსხვერპლს შეიძლება ახლდეს წარმომადგენელი ან, როცა მისაღებია, უფროსი ადამიანი ბავშვის არჩევანის შესაბამისად, თუ ამ პირის მიმართ არ არის მიღებული საწინააღმდეგო დასაბუთებული გადაწყვეტილება.

4. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ მე-2 და მე-3 მუხლებში მოხსენიებული ნებისმიერი დანაშაულის სისხლის სამართლის გამოძიებისას გაკეთდეს ბავშვ მსხვერპლთან ან, სადაც საჭიროა, ბავშვ მოწმესთან, ყველა ინტერვიუს ვიდეო ჩანაწერი და შესაძლებელი იყოს ამ ჩანაწერის მტკიცებულებად გამოყენება სისხლის სამართლის საქმეების სასამართლო მოსმენებზე, ადგილობრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

5. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ მე-2 და მე-3 მუხლებში მოხსენიებულ ნებისმიერ დანაშაულთან დაკავშირებული სასამართლო განხილვებისას:

(a) მოსმენა ჩატარდეს ხალხის დაუსწრებლად; და

(b) ბავშვი მსხვერპლი სასამართლო დარბაზში დაიკითხოს დაუსწრებლად, სათანადო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

6. წინამდებარე მუხლი უნდა გამოიყენებოდეს მე-12 მუხლის დარღვევის გარეშე.

**ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლი თანმხლებების გარეშე მყოფი არასრულწლოვნების  
დახმარება, მხარდაჭერა და დაცვა**

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლ არასრულწლოვანთა დახმარებისა და მხარდაჭერის საგანგებო ზომები, როგორც ეს აღწერილია მე-14(1) მუხლში, სათანადოდ ითვალისწინებდეს თანმხლებების გარეშე მყოფი მსხვერპლი არასრულწლოვნების პირად და განსაკუთრებულ გარემოებებს.
2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები იმისათვის, რომ გამოძებნონ მყარი გამოსავალი ბავშვის საუკეთესო ინტერესების ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე.
3. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ, სადაც ეს საჭიროა, მეურვე დაენიშნოს ტრეფიკინგის მსხვერპლ თანმხლებების გარეშე მყოფ არასრულწლოვანს.
4. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ სისხლის სამართლის გამოძიებისა და სამართალწარმოებისას, შესაბამის სამართლებრივ სისტემაში მსხვერპლის როლიდან გამომდინარე, უფლებამოსილმა ხელისუფლების ორგანომ დაუნიშნოს წარმომადგენელი არასრულწლოვანს, ბინად როცა ის იმყოფება თანმხლებების გარეშე ან განცალკევებულია ოჯახისაგან.
5. წინამდებარე მუხლი უნდა გამოიყენებოდეს მე-14 და მე-15 მუხლების დარღვევის გარეშე.

*მუხლი 17*

**მსხვერპლთა კომპენსაცია**

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლთ ხელი მიუწვდებოდეთ განზრახ ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლთათვის განკუთვნილ კომპენსაციის არსებულ სქემებზე.

*მუხლი 18*

**პრევენცია**

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები, როგორცაა განათლება და ტრენინგები, რათა დაგმონ და შეამცირონ მოთხოვნა ისეთ სამუშაოზე, რომელიც წააქეზებს ადამიანებით ვაჭრობასთან დაკავშირებულ ექსპლუატაციის ყველა ფორმას.
2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ სათანადო ზომები, მათ შორის, ინტერნეტის გამოყენებით, როგორცაა ინფორმაციის გავრცელება და ცნობიერების ამაღლების კამპანიები, კვლევა და საგანმანათლებლო პროგრამები, სადაც საჭიროა, სამოქალაქო საზოგადოების შესაბამის ორგანიზაციებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, რისი მიზანიც იქნება ცნობიერების ამაღლება და ტრეფიკინგის მსხვერპლად გახდომის რისკის შემცირება ადამიანებისა და, განსაკუთრებით, ბავშვებისათვის.
3. წევრმა სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ იმ საჯარო მოხელეების რეგულარულ ტრენინგებს, რომლებსაც, დიდი ალბათობით, შეიძლება მოუწიოთ ტრეფიკინგის

მსხვერპლთან ან პოტენციურ მსხვერპლთან კონტაქტი. მათ შორის უნდა იყვნენ წინა ხაზის საჯარო მოხელეები, რათა მათ შეძლონ ტრეფიკინგის მსხვერპლის თუ პოტენციური მსხვერპლის გამოვლენა და მათთან მუშაობა.

4. მოთხოვნის შემცირების გზით ტრეფიკინგის უფრო ქმედითად პრევენციისა და აღკვეთისათვის, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ შესაბამისი ზომების გატარება, რათა სისხლის სამართლის დანაშაულად გამოცხადდეს მათი მომსახურების გამოყენება, ვინც ექსპლუატაციის მსხვერპლია მე-2 მუხლის შესაბამისად, მაშინ, როცა ცნობილია, რომ პირი არის მე-2 მუხლში მოხსენიებული დანაშაულის მსხვერპლი.

### *მუხლი 19*

#### **ადგილობრივი მომხსენებლები ან ექვივალენტური მექანიზმები**

წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები ადგილობრივი მომხსენებლების ან ექვივალენტური მექანიზმების შემოსაღებად. ამგვარი მექანიზმების ამოცანა უნდა მოიცავდეს ადამიანებით ვაჭრობის სფეროში არსებული ტენდენციების შეფასებას, ტრეფიკინგის საწინააღმდეგო მოქმედებათა შედეგების გაზომვას, სტატისტიკის შეგროვებას ამ სფეროში აქტიური სამოქალაქო საზოგადოების შესაბამის ორგანიზაციებთან თანამშრომლობით და ანგარიშგებას.

### *მუხლი 20*

#### **ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართული ევროკავშირის სტრატეგიის კოორდინაცია**

ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართული ევროკავშირის სტრატეგიის კოორდინაციისა და კონსოლიდაციის მიზნით, წევრმა სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ ტრეფიკინგის საკითხებში კოორდინატორის მუშაობას. კერძოდ, წევრმა სახელმწიფოებმა მე-19 მუხლში მოხსენიებული ინფორმაცია უნდა გადასცენ კოორდინატორს ტრეფიკინგის საკითხებში, რის საფუძველზეც კოორდინატორმა მონაწილეობა უნდა მიიღოს კომისიის ანგარიშის მომზადებაში, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ აფასებს ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლაში მიღწეულ პროგრესს.

### *მუხლი 21*

#### **ჩარჩო გადაწყვეტილების 2002/629/JHA ჩანაცვლება**

ჩარჩო გადაწყვეტილება 2002/629/JHA ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ჩანაცვლდება იმ წევრი სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც მონაწილეობენ წინამდებარე დირექტივის მიღებაში ისე, რომ არ დაირღვეს წევრი სახელმწიფოების ვალდებულება ჩარჩო გადაწყვეტილების ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვის ვალდებთან დაკავშირებით.

წინამდებარე დირექტივის მიღებაში მონაწილე წევრი სახელმწიფოებისათვის მითითებები ჩარჩო გადაწყვეტილებაზე 2002/629/JHA ჩანაცვლდება მითითებებით წინამდებარე დირექტივაზე.

#### *მუხლი 22*

#### **ტრანსპოზიცია**

1. წევრმა სახელმწიფოებმა 2013 წლის 6 აპრილამდე უნდა ამოქმედონ კანონმდებლობა, რეგულაციები და ადმინისტრაციული დებულებები, რაც აუცილებელია წინამდებარე დირექტივასთან შესაბამისობისათვის.
2. წევრმა სახელმწიფოებმა კომისიას უნდა გადასცენ მათი შიდა კანონმდებლობის დებულებების ტექსტი ტრანსპოზიციის შედეგად, რომლებიც ასახავს წინამდებარე დირექტივით დაკისრებულ ვალდებულებებს.
3. როცა წევრი სახელმწიფოები მიიღებენ ამ დებულებებს, ისინი უნდა მოიცავდნენ მითითებას წინამდებარე დირექტივაზე. ამგვარი მითითება აუცილებელია ამ დებულებათა ოფიციალური გამოქვეყნების შემთხვევაში. წევრი სახელმწიფოები თავად განსაზღვრავენ, როგორ ჩამოაყალიბონ აღნიშნული მითითება.

#### *მუხლი 23*

#### **ანგარიშგება**

1. 2015 წლის 6 აპრილისათვის კომისიამ ევროპარლამენტსა და საბჭოს უნდა წარუდგინოს ანგარიში, რომელშიც შეფასდება, თუ რამდენად მიიღეს წევრმა სახელმწიფოებმა აუცილებელი ზომები ამ დირექტივასთან შესაბამისობისათვის, მათ შორის, მე-18(4) მუხლის შესაბამისად განხორციელებულ ღონისძიებათა აღწერილობას, რომელსაც, საჭიროების შემთხვევაში, თან ერთვის საკანონმდებლო წინადადებები.
2. 2016 წლის 6 აპრილისთვის კომისიამ ევროპარლამენტსა და საბჭოს უნდა წარუდგინოს ანგარიში, რომელშიც შეფასებული იქნება, რა გავლენა მოახდინა ტრეფიკინგის პრევენციაზე არსებულმა ადგილობრივმა კანონმდებლობამ, რომელშიც სისხლის სამართლის დანაშაულად არის ცნობილი ადამიანებით ვაჭრობის ობიექტთა ექსპლუატაციით მიღებული მომსახურება. შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში, თან უნდა ახლდეს შესაბამისი წინადადებები.

#### *მუხლი 24*

#### **ძალაში შესვლა**

წინამდებარე დირექტივა ძალაში შევა მისი *ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში* გამოქვეყნების დღიდან.

#### *მუხლი 25*

#### **ადრესატები**

წინამდებარე დირექტივის ადრესატები არიან წევრი სახელმწიფოები, ხელშეკრულებების შესაბამისად.

შესრულებულია სტრასბურგში, 2011 წლის 5 აპრილს.

*ევროპის პარლამენტისთვის*

*პრეზიდენტი*

*ი. ბუზევი*

*საბჭოსთვის*

*პრეზიდენტი*

*ე. გიორი*

---

(1) 2010 წლის 21 ოქტომბრის დასკვნა (ოფიციალურ ჟურნალში ჯერ არ გამოქვეყნებულა).

(2) ევროპის პარლამენტის 2010 წლის 14 დეკემბრის პოზიცია (ოფიციალურ ჟურნალში ჯერ არ გამოქვეყნებულა) და საბჭოს 2011 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება<sup>(3)</sup> [OJ L 203, 1.8.2002, p. 1.](#)

(4) [OJ C 311, 9.12.2005, გვ. 1.](#)

(5) [OJ C 115, 4.5.2010, გვ. 1.](#)

(6) [OJ L 328, 15.12.2009, გვ. 42.](#)

(7) [OJ L 261, 6.8.2004, გვ. 19.](#)

(8) [OJ L 168, 30.6.2009, გვ. 24.](#)

(9) [OJ L 190, 18.7.2002, გვ. 1.](#)

(10) [OJ L 182, 5.7.2001, გვ. 1.](#)

(11) [OJ L 68, 15.3.2005, გვ. 49.](#)

(12) [OJ L 158, 30.4.2004, გვ. 77.](#)

(13) [OJ L 82, 22.3.2001, გვ. 1.](#)

(14) [OJ C 321, 31.12.2003, გვ. 1.](#)

(15) [OJ L 300, 11.11.2008, გვ. 42.](#)

(16) [OJ L 304, 30.9.2004, გვ. 12.](#)

(17) [OJ L 326, 13.12.2005, გვ. 13.](#)